GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 23 Temmuz / ივლისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	9.9 %

17. Batum Uluslararası Konferansı
ბათუმის მე 17 საერთაშორისო კონფერენცია

19 Temmuz'da Batum'da 17. Uluslararası "Avrupa Birliği'nin Çekim Gücü ve Bölgenin Dönüşümü" Konferansı düzenlendi. Konferansa üst düzey yetkililer katıldı: Gürcistan Cumhurbaşkanı Başkanı Salome Zurabishvili, Gürcistan Başbakanı İrakli Gharibashvili, Moldova Cumhurbaşkanı Maia Sandu, Ukrayna Cumhurbaşkanı Volodymyr Zelensky ve Avrupa Konseyi Başkanı Charles Michel.

Konferansın ana konusu, Avrupa Birliği'nin üç ortağı olan Gürcistan, Moldova ve Ukrayna'nın Avrupa Birliğe yakınlaştırılması ve bu ülkeler arasında işbirliğinin güçlendirilmesi. Konferansta aynı zamanda Avrupa-Atlantik bölgesindeki fırsatları, zorluklar ve müttefikler arasında işbirliğinin geliştirme perspektifler gibi konular ele alınmıştır.

Konferans çerçevesinde, ilişkili üçlünün devlet başkanları Batum Zirvesi'nin ortak deklarasyonu imzaladı.

Not edilmelidir ki heyeti ile beraber Batum Uluslararası Havalimanı'nda varış yapan Volodymyr Zelensky ardından Enguri köprüsünde bulunduğu sözde sınırını ziyaret etti.

19 ივლისს, ბათუმში მე-17 საერთაშორისო კონფერენცია "ევროკავშირის მიზიდულობის ძალა და რეგიონის ტრანსფორმაცია" გაიმართა. კონფერენციას უმაღლესი რანგის პირები ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მოლდოვას პრეზიდენტი მაია სანდუ, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი და ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი.

კონფერენციის მთავარი თემა ევროკავშირის სამი ასოცირებული პარტნიორის - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის გაღრმავებული თანამშრომლობა და ევროკავშირთან მათი უფრო მეტად დაახლოვება იყო. კონფერენციის ფარგლებში განიხილეს საკითხები, როგორიცაა ევროატლანტიკურ სივრცეში არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, აგრეთვე მოკავშირეებს შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები.

კონფერენციის ფარგლებში ასოცირებული ტრიოს სახელმწიფო მეთაურებმა ბათუმის სამიტის ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი.

აღსანიშნავია რომ საქართველოში ვიზიტით მყოფი ვოლოდიმირ ზელენსკი უკრაინის დელეგაციასთან ერთად ენგურის ხიდზე იმყოფებოდა და ე.წ. ადმინისტრაციული საზღვარი მოინახულა. ზელენსკი ენგურის ხიდზე პირდაპირ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრა.

Covid – 19

Gürcistan'da günlük Kovid-19 vaka sayısı endişe verici seviyelere çıkarak günde 2 600'e ulaştı. Ülke liderliği bu aşamada önlemlerinin yerine getirilmesini planlamıyor, ancak yükseliş eğiliminin devam etmesi durumunda önlemlerinin yürürlüğe girmesi ihtimal dahilindedir.

Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 13 694'e ulaştı (ortalama: 1956 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 398 081 ulaştı. Can Kaybı – 5656, iyileşenlerin sayısı – 370 565, aktif vaka ise – 21860. Halihazırda hastanelerde 4780, otellerde ise 1487 kişi tedavi görüyor, 50 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %6,32'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %5.38'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %6.03'e eşittir.

Gürcistan'da aşı toplam 393 439 kişiye yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 189 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 193 439 315; Can Kaybı – 4 151 763; İyileşen kişi sayısı – 175 745 445. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve Fransa'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევები საგანგაშო დონემდე გაიზარდა და დღიურად 2600-ს მიაღწია. ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ ეტაპისთვის არ გეგმავს, თუმცაღა მატების ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში შეზღუდვების დაწესებას არ გამორიცხავს. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 13 694-ს უტოლდება - 1956 კაცი საშუალოდ დღეში. ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 398 081 შეადგინა, გარდაიცვალა 5656, გამოჯანმრთელდა 370 565, ხოლო 21860 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 4780 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1487 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 50

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 6.32%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 5.38%, ხოლო 7 დღის 6.03%.

საქართველოში ჯამურად აცრა 393 439 ადამიანს ჩაუტარდა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 189 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 193 439 315 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 4 151 763, ხოლო გამოჯანმრთელდა 175 745 445 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და საფრანგეთს ჰყავს.

Haziran'da Bankaların Rekor Kar Oranı
ივნისში ბანკები რეკორდულ მოგებაზე გავიდნენ

Gürcistan Milli Bankası tarafından yayınlanan bilgilere göre Ocak-Haziran 2021 döneminde bankaların net karı 1 059 623 000 GEL olarak teşkil etti. Finans piyasasındaki büyük oyuncular, sadece bir ayda Haziran ayında 294 628 milyon GEL net kar elde etti. Bu rakam, geçen yılın aynı dönemine göre neredeyse %114 daha fazla. Geçen yıl Haziran ayında bankaların net karı 137.789 milyon GEL olmuştur.
ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2021 წლის იანვარ-ივნისში ბანკების წმინდა მოგებამ 1 059 623 000 ლარი შეადგინა. საფინანსო ბაზრის მსხვილმა მოთამაშეებმა მხოლოდ ერთ თვეში ივნისში 294 628 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღეს, ეს კი თითქმის 114%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შარშან ივნისში ბანკების წმინდა მოგება 137 789 მლნ ლარი იყო.



Aylara göre 2021 net karı oranları:
2021 წლის მოგება თვეების მიხედვით:
Ocak / იანვარი - 113 368 mln GEL
Şubat / თებერვალი - 132,115 mln GEL
Mart / მარტი - 166,324 mln GEL
Nisan / აპრილი - 173,071 mln GEL
Mayıs / მაისი - 180,117 mln GEL
Haziran / ივნისი - 294,628 mln GEL

Ticari bankaların net karı oranı geçen yıl 99 262 milyon GEL oldu. Bu, son yıllarda bankaların elde ettiği en düşük kâr oranıydı. Bunun nedeni korona virüs pandemisinin ilk ay olmuştur. Bankalar o dönemde kredilerin ertelemek zorunda kaldı. Buna göre Mart 2020'de bankalar 943 130 milyon dolarlık zararı gördüler. Haziran ayı itibarıyla piyasada 15 ticari banka faaliyet göstermektedir.

გასულ წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 99,262 მლნ ლარი შეადგინა. ეს იყო მოგების ყველაზე მცირე მაჩვენებელი, რაც ბანკებს ბოლო წლებში ჰქონდათ მიღებული. ამის მიზეზი კი, კორონავირუსის პანდემიის პირველი თვე იყო, როდესაც ბანკებს სესხების მასობრივი გადავადება მოუწიათ. შესაბამისად, 2020 წლის მარტში ბანკები 943,130 მლნ-იან ზარალზე გავიდნენ. ივნისის მდგომარეობით ბაზარზე 15 კომერციული ბანკი ოპერირებს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Gürcistan'ın Dış Ticareti Ocak - Haziran 2021
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2021 წ. იანვარი - ივნისი

2021 yılı Ocak – Haziran döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 6 209.7 milyon ABD doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %20.7 daha fazladır. İhracat 1 884.7 milyon ABD dolar (büyüme %25.2), ithalat ise – 4 325.0 milyon ABD doları (büyüme %18.9) olmuştur. 2021 Ocak – Haziran döneminde negatif ticaret bilançosu 2 440.3 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 39.3 teşkil etmiştir.

2021 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6 209.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.7 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1 884.7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (მატება 25.2%) ხოლო იმპორტი 4 325.0 მლნ. აშშ დოლარს (მატება 18.9%). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2021 წლის იანვარ-ივნისში, 2 440.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.3 პროცენტია.

2021 yılı Ocak – Haziran döneminde Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %70.4 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları aşağıdaki grafikten görebilirsiniz.

2021 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.4 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები ქვემოთ მოცემულ გრაფიკში შეგიძლიათ იხილოთ.



2021 yılı Ocak – Haziran döneminde Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %68.5 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakların listesi aşağıdaki tablodan görebilirsiniz.

2021 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 68.5 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საიმპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

Türkiye / თურქეთი	$ 779 602.6
Rusya / რუსეთი	$ 466 056.2
Çin / ჩინეთი	$ 362 775.0
ABD / აშშ	$ 267 903.6
Azerbaycan / აზერბაიჯანი	$ 248 872.0
Ermenistan / სომხეთი	$ 231 304.9
Almanya / გერმანია	$ 207 215.2
Ukrayna / უკრაინა	$ 191 406.9
İtalya / იტალია	$ 117 370.1
Romanya /რუმინეთი	$ 91 882.3
Diğer / სხვა	$ 1 360 648.6

2021 yılı Ocak – Haziran döneminde Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %77.9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakların listesi aşağıdaki tablodan görebilirsiniz.

2021 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

Çin / ჩინეთი	$ 289 873.1
Rusya / რუსეთი	$ 263 744.9
Azerbaycan / აზერბაიჯანი	$ 244 375.7
Türkiye / თურქეთი	$ 164 472.7
Ukrayna / უკრაინა	$ 137 863.8
Bulgaristan / ბულგარეთი	$ 123 734.0
Ermenistan / სომხეთი	$ 101 099.0
ABD / აშშ	$ 65 721.8
İspanya / ესპანეთი	$ 41 174.8
İsviçre / შვეიცარია	$ 35 698.4
Diğer / სხვა	$ 416 943.4

Turizm Haziran 2021'de
ტურიზმი 2021 წლის ივნისში

Carı yılın Haziran ayında Gürcistan'ı toplam 133 500 turist ziyaret etti. Bu rakam geçen yılın aynı dönemine göre 104 600 ile ve bir önceki aya göre 37 000 ile daha fazladır.

2021 yılın Haziran ayında Gürcistan turizmden toplam 122,5 milyon dolarlık geliri elde etti. Bu rakam geçen yılın aynı dönemine göre 111,3 milyon dolar ile daha fazla. Haziran 2021'de elde edilen gelirler bir önceki ayın verilerini de aşmaktadır. Mayıs 2021'de Gürcistan turizmden sadece 73,8 milyon doları elde etmiştir.

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს ჯამში 133 500 ტურისტი ეწვია. ეს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 104 600-ით მეტია, ხოლო წინა თვესთან შედარებით, ზრდა 37 000 ტურისტია.

მიმდინარე წლის ივნისში საქართველომ ტურიზმიდან შემოსავლის სახით ჯამში 122.5 მლნ დოლარი მიიღო. ეს მონაცემი წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 111.3 მლნ დოლარით მეტია. 2021 წლის ივნისში მიღებული შემოსავლები აჭარბებს წინა თვის მონაცემებსაც. მიმდინარე წლის მაისში საქართველომ ტურიზმიდან მხოლოდ 73.8 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Gürcistan'da Gıda Dağıtım Hizmeti
მიტანის სერვისი საქართველოში

COVID-19'un bir sonucu olarak, gıda dağıtım sektörü ülkede önemli ölçüde büyüdü. 2020'de gıda dağıtım pazarının büyüklüğü 167 milyon GEL'e ulaştı ve bu rakam bir önceki yılın verilere göre 3 kat daha büyük.

Artış hem siparişlerin sayısında hem de siparişin ortalama maliyetinde gözlemlendi. 2020 yılında sipariş sayısı %146 artarken, siparişin ortalama maliyeti ise 2019'da 26.2 Lari varken 31.5 GEL'e kadar yükseldi.

2020 itibariyle Gürcistan'daki gıda teslim hizmeti pazarının yaklaşık %95'i Glovo ve Wolt tarafından sahiplenmektedir. Şirketler ülkenin en büyük 5 şehir olan Tiflis, Batum, Kutaisi, Rustavi ve Zugdidi'de faaliyet gösteriyorlar. 2021'de Bolt Food, Elvis ve diğer küçük oyuncular da piyasaya çıktı.

COVID-19-ის შედეგად საკვების მიტანის სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2020 წელს საკვების მიტანის ბაზრის ზომამ 167 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3-ჯერ აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს.

ზრდა დაფიქსირდა როგორც შეკვეთების რაოდენობის, ისე შეკვეთის საშუალო ღირებულების კუთხით. 2020 წელს შეკვეთების რაოდენობა 146%-ით, ხოლო შეკვეთის საშუალო ღირებულება 31.5 ლარამდე გაიზარდა. (26.2 ლარი 2019 წელს).

2020 წლის მდგომარეობით, საქართველოში მიტანის სერვისი ბაზრის დაახლოებით 95%-ს Glovo და Wolt ფლობს. კომპანიები ქვეყნის 5 უდიდეს ქალაქში ოპერირებენ (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ზუგდიდი). 2021 წელს ბაზარზე Bolt Food, Elvis და სხვა შედარებით მცირე ზომის მოთამაშეები გამოჩნდნენ.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Bölgedeki Enflasyon
ინფლაცია რეგიონში

2021 yılın Haziran ayında Gürcistan'daki enflasyon tekrar rekor rakamlarını ulaştı. Çeşitli ürün ve hizmetlerde fiyatlarının büyüme oranı %9,9 oldu. Ancak, verilen bir yıllık dönemde bazı emtia gruplarının fiyatları daha hızlı bir şekilde büyüdü.

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოში ინფლაციის ახალი ანტირეკორდი დაფიქსირდა. საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდის ტემპმა საშუალოდ 9.9% შეადგინა. თუმცა მოცემულ ერთწლიან პერიოდში ფასები ზოგიერთ სასაქონლე ჯგუფზე გაცილებით სწრაფად გაიზარდა:

- Ulaşım / ტრანსპორტი - 22%
- Sağlık / ჯანდაცვა - 11.6%
- Mobilya ve ev eşyaları / ავეჯი და საოჯახო ნივთები - 10.6%
- Su, Elektrik, Gaz / წყალი, ელ.ენერგია, აირი - 10.5%

Haziran 2021'de Türkiye'deki yıllık enflasyon oranı %17.53 olmuştur. Fiyatlar en çok aşağıdaki gruplarda artmıştır:
2021 წლის ივნისში თურქეთში ინფლაციის წლიურმა დონემ 17.53% შეადგინა. ფასები ყველაზე სწრაფი ტემპით შემდეგ ჯგუფებში გაიზარდა:

- Ulaşım /ტრანსპორტი - 26.29%
- Su, Elektrik / წყალი, ელ ენერგია - 25.69%
- Yiyecek ve alkolsüz içecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 19.99%
- Sağlık / ჯანდაცვა - 19.30%

Diğer komşu ülkelere gelince: Azerbaycan – 4.7%, Rusya – 6.5%, Ermenistan – 6.5%
რაც შეეხება სხვა მეზობელ ქვეყნებს: აზერბაიჯანი - 4.7%, რუსეთი - 6.5% სომხეთი - 6.5%.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაზახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.1191 **TRY/GEL** – 0.3646 **EUR/GEL** – 3.6787 **GBP/GEL** – 4.2934

USD/GEL

16 – 23 Temmuz 2021

USD/TRY

16 – 23 Temmuz 2021

TRY/GEL

16 – 23 Temmuz 2021

BTC – 32 587.22

16 – 23 Temmuz 2021

AK YIL ZEMİN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası